ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 46/ს

თბილისი „28" ,,თებერვალი" 2013 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, **სსიპ ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ავერსი–გეოფარმი"** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის გია ჩიგოგიძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, საკუთარი სახსრების ფარგლებში, შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატის" საჭიროებისათვის მედიკამენტების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – ფარმაცევტული პროდუქტები – 33600000) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 167.91 (ასსამოცდაშვიდი ლარი და 91 თეთრი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება, მახასიათებლები რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი #1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2. „მიმწოდებლის" მიერ ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს ვარგისიანობის საერთო ვადის არანაკლებ 80%–ისა.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის ფილიალის დუშეთის შშმპ პანსიონატის უფროსის მიერ საქონლის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2.მიწოდების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი #1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. აღნიშნულ მისამართზე სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით შემსყიდველზე გადადის 5.1 პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.საქონელი ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის შემსყიდველს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე - საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე.

5.2 საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და სასაქონლო ზედნადებს, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას დადგენილი წესის მიხედვით, შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა, მე-3 სართული.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2 ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, ხელშეკრულების 5.2. პუნქტში მითითებულ დოკუმენტებისა და 15.1. პუნქტში აღნიშნული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6.3 შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებლის დაფინანსებას ხელშეკრულების 5.2. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულს ვადაში და პირობებში და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2 მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი სააფთიაქო ქსელის შესაბამის აფთიაქებს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესახებ.

7.1.3 მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.4 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.1.6 შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი, რომლის ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს ვარგისიანობის საერთო ვადის არანაკლებ 80 %–ისა.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 ,,შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული

ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისგან, ხოლო ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.1.3 ერთ–ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწიენბულ სხვა შემთხვევებში;

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის ფილიალის „დუშეთის შშმპ პანსიონატის“ უფროსი ლაშა ნემსწვერიძე.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1 მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 30 აპრილის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”	შპს „ავერსი–გეოფარმი”
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #144	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #11
ს/ს „საქართველოს ბანკი“	ს/ს „საქართველოს ბანკი”
კოდი #BAGAGE22	ცენტრალური ფილიალი
ა/ა # GE87BG0000000291880101	კოდი № BAGAGE22
ს/კ # 205169592	ა/ა № GE62BG0000000126681500
	ს/კ № 203834075
მარინა მესხი	გია ჩიგოგიძე
დირექტორი	დირექტორი

#	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ადგილი
1	ბიცილინი – 5	ცალი	2	1.05	2.10	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #11
2	ოფთან კატახრომი თვ. წვ	ცალი	3	3.65	10.95	
3	დიკლოფტილი თვ. წვ.	ცალი	3	12.29	36.87	
4	ოფთან დექსამეტაზონი თვ. წვ.	ცალი	3	3.00	9.00	
5	დელაგილი 0.25 მგ. #30	კოლოფი	2	11.55	23.10	
6	ნოშ–პა 40 მგ. #100	კოლოფი	1	4.48	4.48	
7	ბარალგეტასი 5 მლ. #5	კოლოფი	3	3.85	11.55	
8	ბეროდუალი 20 მლ. საინგალაციო ხსნარი	ცალი	2	9.80	19.60	
9	სერპენს უნო #30	კოლოფი	2	15.50	31.00	
10	კარდიომაგნილი 75მგ. #30	კოლოფი	2	3.23	6.46	
11	კაპტოპრილი (კაფტი) 25მგ. #50	კოლოფი	2	4.15	8.30	
12	ნიფედიპინი 10 მგ. #50	კოლოფი	2	2.25	4.50	
	სულ				167.91	

„შემსყიდველი“

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“

მარინა მესხი
დირექტორი

„მიმწოდებელი“

შპს „ავერსი–გეოფარმი“

გია ჩიგოგიძე
დირექტორი